KA021776145793522

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/23978 29 / აპრილი / 2022 წ.

შპს „ბუნება“-ს
ელ.ფოსტა:vano.garsevanishvili@yahoo.com

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 27.04.2022წ. N45299/04 წერილი. გაცნობებთ, რომ ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის შემთხვევაში, ასევე ნებართვის გამცემ შესაბის უწყებასთან შეთანხმებით, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახახუნევში, შპს „ბუნებას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N37.05.39.582; N37.05.39.583) მორწყვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N37.05.39.613) კვეთით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განახორციელოთ მხოლოდ მიწისქვეშა წყლის მილის განთავსება უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, ასევე იმ პირობით, რომ მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში ერთი თვის ვადაში კომპანიის ხარჯებით გადატანილი იქნება ხაზოვანი ნაგებობა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, ზიანი არ უნდა მიადგეს სახელმწიფო ქონებას, არ უნდა განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული ხეების ჭრა ასეთის არსებობის შემთხვევაში და ხაზოვანი ნაგებობის განთავსების სამუშაოების დამთავრებისთანავე მიწის ნაკვეთი მოყვანილი უნდა იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე